სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/71

ქ. თბილისი

22 დეკემბერი 2023

სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2023 წლის 22 დეკემბრის №0001752206 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 22 დეკემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშტატო განრიგებში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2023 წლის 22 დეკემბრის №0001752206 წერილით წარმოდგენილი პარამეტრების თანახმად;
2. განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან სამეცნიერო თანამდებობების კონკურსის ჩატარების შემდეგ;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**